



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

N 78

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

**ქ. გარდაბანი**  
26.09.2023

78-06-4-202309261537



**გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების არსენა შოშიაშვილის, გიორგი გოგოჩაშვილისა და გიორგი მათიაშვილის დაჯილდოების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N38 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ივლისის N49 დადგენილებისა და საქართველოს მკლავჭიდის ერთიანი ეროვნული ფედერაციის 2023 წლის 12 სექტემბრის N150 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

**მუხლი 1**

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N38 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - არსენა შოშიაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 5 000 (ხუთი ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ , გიორგი გოგოჩაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 3000 (სამი ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“, გიორგი მათიაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 3000 (სამი ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“,

**მუხლი 2**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა უნაღდო ანგარიშწორებით, სპორტსმენების პირად საბანკო ანგარიშებზე:

არსენა შოშიაშვილი - 5 000 (ხუთი ათასი) ლარი,  
გიორგი გოგოჩაშვილი – 3000 (სამი ათასი) ლარი,  
გიორგი მათიაშვილი – 3000 (სამი ათასი) ლარი,

### მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

### მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

